საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

წლიური ანგარიში
2006 წ.

თავი I 3
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია 3
ანგარიშვალდებულება და სტრუქტურა 4
კომისიის სტრუქტურული რეორგანიზაცია 4
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრები 5
კომისიის ბიუჯეტი და ფინანსური რესურსები 8
მარეგულირებელი კანონმდებლობა 10
თავი II განხორციელებული სამუშაოების ანალიზი 11
კომისიის დადგენილებები 11
კომისიის გადაწყვეტილებები 16
აუქციონები 17
ავტორიზაცია-ლიცენზირება 17
რადიოელექტრონული საშუალებების სერტიფიცირება, სახმობების მინიჭება 18
რადიოსიხშირული სპექტრის მართვა, რადიომონიტორინგი და კოორდინაცია 18
მომხმარებელთა უფლებების დაცვა 20
საერთაშორისო ურთიერთობები 21
ტელე-რადიო მაუწყებლობის შინაარსობრივი რეგულირება 22
თავი III ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურების ბაზრის განვითარების მიმოხილვა 24
დარგის შემოსავლების წილი ეკონომიკის მთლიან შიდა პროდუქტში 26
ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის სეგმენტების განვითარების დინამიკა 27
ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურება 28
მობილური საკომუნიკაციო მომსახურება 31
ინტერნეტის ქსელით მომსახურება 32
ტელე-რადიო მაუწყებლობა 33
თავი IV. 35
სტრატეგიული გეგმა 35
სტრატეგიული მიზნები 35

თავი I
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

მისია

საქართველოს მეგზური თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ერაში

ხედვა

- ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა
- კონკურენტული და ღია გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა
- საბაზრო ცვლილებებზე მოქნილი და ადეკვატური რეაგირების მექანიზმის შექმნა
- საინფორმაციო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა
- კომპანიებსა და მომხმარებლებს შორის მედიატორის როლის შესრულება
- საინვესტიციოდ მიმზიდველი და სტაბილური ბიზნესგარემოს შექმნის ხელშეწყობა

ღირებულებები:

ჩვენ გვჯერა, რომ:

ელექტრონული კომუნიკაციების <u>განვითარება</u> ხელს უწყობს ქვეყნის საერთო ეკონომიკურ ზრდას

ღია და <u>გამჭვირვალე</u> ურთიერთობები ხელს უწყობს ბაზრის მონაწილეებსა და მომხმარებლებს შორის ნდობის გაღრმავებას

გამჭვირვალე საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული რეგულირება და გადაწყვეტილების მიღებისას <u>თანასწორუფლებიანობისა და არადისკრიმინაციულობის</u> პრინციპების დაცვა არის ბაზარზე კონკურენციის განვითარების ხელშეწყობისა და ინოვაციების დამკვიდრების წინაპირობა

ბაზარზე კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება ხელს უწყობს მომსახურების ხელმისაწვდომობის ზრდასა და <u>მომხმარებლების უფლებების დაცვას</u>

<u>სტაბილური და პროგნოზირებადი გარემო</u> ინვესტიციების მოზიდვის, ასევე ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის საწინდარია

რეგულირების <u>მოქნილი მექანიზმი</u>, ბაზარზე მიმდინარე პროცესებზე ორიენტირებულობა, მარტივი და გასაგები წესების დამკვიდრება, ეფექტიანობისა და შედეგიანობის მიღწევის საწინდარია

<u>შეზღუდული რესურსების</u> ეფექტურად განაწილება ელექტრონული კომუნიკაციების დარგში კონკურენციის განვითარების წინაპირობაა

ანგარიშვალდებულება და სტრუქტურა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, როგორც დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს დამოუკიდებლობის, საჯაროობისა და პასუხისმგებლობის პრინციპებით.

იგი ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე, რაც ლოგიკურად გამომდინარეობს მისი ვალდებულებიდან იმოქმედოს საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად. მისი საქმიანობა გამჭვირვალეა საზოგადოებისათვის; მისი სხდომები საჯარო და ღიაა დაინტერესებული პირებისათვის; იგი თავისი საქმიანობის შესახებ წლიურ ანგარიშს წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტს.

კომისია წარმოადგენს კოლეგიალურ ორგანოს. "მაუწყებლობის შესახებ" (მიღებული 2004 წლის 23 დეკემბერს) საქართველოს კანონის თანახმად კომისია შედგება ხუთი წევრისაგან. კომისია, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ხმათა უმრავლესობით, იღებს სამართლებრივ აქტებს: დადგენილებას, გადაწყვეტილებას, აგრეთვე თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებებს. კომისიის სამართლებრივი აქტები შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კომისიის სტრუქტურული რეორგანიზაცია

2006 წელს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში დასრულდა სტრუქტურული რეორგანიზაცია. რეორგანიზაციის აუცილებლობა განპირობებული იყო "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ბაზარზე ჩამოყალიბებული პოზიტიური ტენდენციების გაფართოვებისა და რეგულირების ახლებური მიდგომების რეალიზების საჭოროებით. 2004 წლამდე, კომისიაში მოქმედებდა პროფესიული ნიშნით ჩამოყალიბებული სტრუქტურა, რომელიც შეიცვალა ფუნქციონალური ნიშნით დაყოფილი სტრუქტურული ერთეულებით. კომისიის სტატუსი, მისი ფორმირებისა და საქმიანობის წესი, კომისიის თავმჯდომარის უფლებები და მოვალეობები, კომისიის წევრების უფლებამოსილების ვადა, მათი დამოუკიდებლობა და ხელშეუხებლობა, კომისიის წევრების უფლებამოსილების შეწყვეტისა და თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები, კომისიის სამართლებრივი აქტების მიღების წესი, აგრეთვე კომისიის წევრებისა და აპარატის თანამშრომლების ინტერესთა კონფლიქტის გარემოებები განისაზღვრება „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით.

დღეისათვის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატი შედგება 8 დეპარტამენტის და ერთი სამსახურისაგან. ეს სამსახურებია: ადმინისტრაციული; სტრატეგიული განვითარებისა და კონკურენციის; სამართლებრივი; საფინანსო; მონიტორინგის; მაუწყებლობის რეგულირების; რადიოსიხშირეთა მართვის, მონიტორინგისა და კოორდინაციის დეპარტამენტები და მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური.

დიაგრამა 1



საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრები

კომისიის თავმჯდომარე - ბატონი დიმიტრი ქიტოშვილი

დიმიტრი ქიტოშვილი დაიბადა 1979 წლის 3 სექტემბერს, ქ. თბილისში.

2002 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

2001 წლიდან იყო იურიდიული ფირმა "ოქრუაშვილი და პარტნიორების" პარტნიორი.

2003 წლის მარტიდან მუშაობდა შპს "ქართული იურიდიული ჯგუფის" დირექტორად;

2003 წლის აგვისტოდან დაინიშნა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრად; მუშაობდა ამავე კომისიის მდივნად, თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად.

2004 წლის 9 ივნისს პრეზიდენტის N 479 განკარგულების თანახმად, დაინიშნა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარედ.

ჰყავს მეუღლე და ვაჟიშვილი.

კომისიი წევრი - ბატონი დავით პატარაია

დავით პატარაია დაიბადა 1971 წლის 1 ოქტომბერს, ქ. თბილისში.

1988 წელს, ქ. თბილისის 150-ე საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ, დავით პატრაიამ სწავლა განაგრძო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ იურიდიულ, შემდეგ კი საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე. 1993 წელს დავით პატარაიამ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურისტის კვალიფიკაციით.

1992-1993 წლებში სწავლობდა ჯერ ნიურნბერგის, შემდეგ კი საარლანდის უნივერსიტეტებში.

1992 წელს იყო საქართველოს სახელმწიფო საბჭოს წევრი.

1997 წლიდან დღემდე მუშაობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე, ჯერ მასწავლებლად, ხოლო 2004 წლიდან – დოცენტის თანამდებობაზე. კითხულობს ლექციებს და მიჰყავს სემინარების კურსი – „საერთაშორისო საჯარო სამართალი“.

2005 წლიდან არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი. მიჰყავს ლექციების კურსი – “საერთაშორისო საჯარო სამართალი”.

1997 წლიდან 2000 წლის მაისის ჩათვლით მუშაობდა რადიო „თავისუფლების“ პოლიტიკურ მიმომხილველად. პარალელურად, 1996 წლიდან ეწეოდა საადვოკატო პრაქტიკას.

2000 წლის 11 ივნისს, საქართველოს პრეზიდენტის N596 განკარგულებით, დაინიშნა საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის პირველი შემადგენლობის წევრად, უფლებამოსილების 2 წლის ვადით. 2002 წლის 11 ივნისს, საქართველოს პრეზიდენტის N751 განკარგულებით მეორე ვადით დაინიშნა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრად, უფლებამოსილების 6 წლის ვადით.

2002 წლის 18 სექტემბრიდან არის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

ჰყავს ორი შვილი.

კომისიის წევრი - ბატონი გიორგი ფრუიძე

გიორგი ფრუიძე დაიბადა 1968 წელს 23 სექტემბერს ქ. თბილისში. 1985 წელს დაამთავრა ქ. თბილისის N 102–ე საშუალო სკოლა. 1985-1992 წლებში სწავლობდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტზე.

2002-2004 წლებში სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, სპეციალობით - ფინანსები და საბანკო საქმე.

1987-1989 წლებში იმყოფებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში.

1993-1994 წლებში მუშაობდა სს „საქგვირაბმშენის“ საკონსტრუქტორო ბიუროში ინჟინრის თანამდებობაზე.

1994-1996 წლებში მუშაობდა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტის სამშენებლო სამმართველოში ინჟინრის თანამდებობაზე.

1996-2001 წლებში მუშაობდა ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციული ინსპექციის სტრუქტურაში სხვადასხვა, ბოლოს განყოფილების უფროსის თანამდებობაზე.

2001-2003 წლებში (ლიკვიდაციამდე) მუშაობდა საქართველოს ქონების მართვის სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ შორის ამავე სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსად, მინისტრის პირველ მოადგილედ.

2003 წლიდან 2004 წლის ივლისამდე მუშაობდა სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ თავმჯდომარის მოადგილედ.

2004 წლის 19 ივლისიდან საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 19 ივლისის N 618 განკარგულებით დაინიშნა და დღემდე მუშაობს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში კომისიის წევრის თანამდებობაზე.

ჰყავს მეუღლე და ვაჟიშვილი.

კომისიის წევრი- ბატონი ზურაბ ნონიკაშვილი

ზურაბ ნონიკაშვილი დაიბადა 1957 წ. 6 ივლისს ქ. თბილისში. 1974 წელს დაამთავრა ქ. თბილისის რკინიგზის მე-2 საშუალო სკოლა.

1975-1980 წლებში სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტზე, სპეციალობით მრეწველობის მგეგმავი ეკონომისტი.

1981 წ. მუშაობდა ს/გ “თემქის” სპეცსაკონსტრუქტორო ბიუროში ინჟინრის თანამდებობაზე.

1981-1989 წლებში მუშაობდა ს/გ “სამთო ქიმიაში” სხვადასხვა თანამდებობაზე (ბოლოს მთავარი ბუღალტრის მოადგილე).

1989-1992 წლებში მუშაობდა “მე-4 მაცივარკომბინატში” საგეგმო-საწარმოო განყოფილების უფროსად.

1992-1993 წლებში მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციაში მთავარ ბუღალტრად.

1993 წელს გაწვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებულ ჯარებში, სადაც 2002 წლამდე მსახურობდა თავდაცვის სამინისტროს მთავარი სახაზინო-საბიუჯეტო სამმართველოს საბიუჯეტო სამმართველოს უფროსის მოადგილედ/ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილების უფროსად.

1998 წელს მივლინებულ იქნა გერმანიაში “NATO”-ს სკოლაში.

არის თადარიგის ოფიცერი.

2003 წლის 30 ნოემბრიდან 2005 წლის 7 ივნისამდე მუშაობდა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემდეგ თანამდებობებზე: კომისიის წევრი, კომისიის მდივანი, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

2005 წლის 5 ივლისიდან საქართველოს პრეზიდენტის N 533-ე განკარგულებით დაინიშნა კომისიის წევრის თანამდებობაზე.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

კომისიის ბიუჯეტი და ფინანსური რესურსები

2006 წელს რეგულირების საფასურის დარიცხულმა შემოსავალმა, კომისიის ბიუჯეტის წლიური გეგმის მიხედვით დამტკიცებული 5,200,000.00 (ხუთი მილიონ ორასი ათასი) ლარის ოდენობის ნაცვლად, შეადგინა 6,386,423.11 ლარი (ექვსი მილიონ სამას ოთხმოცდაექვსი ათას ოთხას ოცდასამი ლარი და 11 თეთრი), რაც 1,186,423.11 ლარით მეტია ბიუჯეტით დამტკიცებულ მაჩვენებელზე. დარიცხული შემოსავლების ზრდა განაპირობა საანგარიშო წელს ავტორიზებული პირების მიერ განხორციელბული საქმიანობის გაფართოებამ და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების დარგის საერთო განვითარებამ.

განვითარების ზემოაღნიშნულმა ტენდენციამ განაპირობა ახალი აქტუალური ამოცანების გადაჭრის და, შესაბამისად. მათი დამატებით დაფინანსების აუცილებლობა. აღნიშნული პრიორიტეტული ამოცანებიდან აღსანიშნავია ციფრული ტელერადიომაუწყებლობის თანამედროვე სისტემაზე გადასვლისას სიხშირული რესურსების განაწილების საერთაშორისო კოორდინირების ამოცანების გადაჭრა, აგრეთვე, ქვეყნის ტერიტორიაზე სიხშირული რესურსების ეფექტური მონიტორინგის სისტემის ინფრასტრუქტურის გაფართოება და სხვა.

შესაბამისად, 2006 საანგარიშო წელს კომისიის მიერ გაწეულმა საოპერაციო ხარჯებმა გეგმით გათვალისწინებული 5,074,752.00 ლარის ნაცვლად შეადგინა 6,491,095.56 ლარი. რამაც საბოლოო ჯამში 2006 წლის მონაცემების მიხედვით გამოიწვია ხარჯების შემოსავლებზე გადამეტება 104 672 ლარით. დამატებითი ხარჯების დაფინანსება ძირითადად განხორციელდა კომისიის მიერ გასულ წლებში მიღებული ფინანსური რეზერვის ფონდიდან.

ბიუჯეტის შესრულებისას ხარჯვითი ნაწილის უმრავლეს მუხლებში მიღებულია ეკონომია. 2006 საანგარიშო წელს კომისიამ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, მიზანშეწონილად ცნო, რომ ცალკეულ მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიღებული ეკონომიის საფუძველზე გამოთავისუფლებული დამატებითი ფინანსური რესურსებით და გასულ წლებში მიღებული ფინანსური რეზერვის ფონდის საშუალებებით დაეფინანსებინა საანგარიშო წლის პრიორიტეტული და აქტუალური ამოცანების ხარჯების მუხლები, კერძოდ:

კომუნიკაციის, ელექტროენერგიისა და წყლის მოხმარების წლიურმა ხარჯმა ჯამში შეადგინა 191,433.61 ლარი. აღნიშნული ხარჯიდან კომუნიკაციის წილმა 149,549.30 ლარი შეადგინა. მასში აისახა კომისიის სიხშირული სპექტრის რადიომონიტორინგის სტაციონარული სისტემის სადგურების (ურთას მთა, ძეგვის მთა) მონიტორინგის ცენტრალურ სადგურთან კავშირისათვის თბილისი-ფოთის ოპტიკურ ბოჭკოვანი მაგისტრალური ციფრული არხის იჯარის მომსახურების დანახარჯები 42,073.75 ლარის ოდენობით, რომელიც არ იყო კომისიის ბიუჯეტით გათვალისწინებული. საანგარიშო წელს ბუნებრივი აირის ხარჯმა 4,902.92 ლარი შეადგინა, წყლის ხარჯმა - 5,042.30 ლარი, ხოლო ელექტროენერგიის ხარჯმა - 31,939.09 ლარი.

საანგარიშო წელს მივლინების ხარჯების საერთო ოდენობის ზრდა განაპირობა კომისიის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით აუცილებელი მივლინებების

ფაქტიურმა დაფინანსებამ. ამ მიზნობრივი მივლინებებიდან აღსანიშნავია ციფრული მაუწყებლობის ახალი ტექნოლოგიების და სამაუწყებლო სტანდარტების დანერგვასთან, აგრეთვე სიხშირული ზოლების საერთაშორისო კოორდინირებულ განაწილებასთან დაკავშირებულ სამუშაო კონფერენციებში და ჯგუფებში (რადიოკავშირის რეგიონალური კონფერენცია RRC, რადიოკავშირის მსოფლიო კონფერენცია ITU) მონაწილეობა. ასევე, აღსანიშნავია საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ყოველკვირეული მივლინებები, რომლებიც ძირითადად მიზნად ისახავდა სალიცენზიო რეესტრის სრულყოფის მიზნით ლიცენზიის მფლობელი კომპანიების მიერ სალიცენზიო პირობების შესრულების მონიტორინგის, კონტროლისა და დაკვირვებების ჩატარებას, რადიოსიხშირული გამომსხივებლების პელენგაციას და ტექნიკური მახასიათებლების ადგილზე შემოწმებას, აღნიშნული სამუშაოების შესრულება გრძელდება 2007 წელსაც.

კომისიის სხვა საერთო ხარჯების მუხლით მიღებული გადახარჯვა განაპირობა კომისიის მიერ სარეკლამო სააგენტოების მეშვეობით კომისიის მიერ ჩასატარებელი აუქციონების თაობაზე საჯარო განცხადებების გამოქვეყნების დაფინანსებამ, რამაც 2006 საანგარიშო წლის ფაქტიური მონაცემების მიხედვით შეადგინა 50,067.40 ლარი, შენობის დაცვის ხარჯებმა – 31,680.00 ლარი, კონდიციონერების გადატანის, მონტაჟისა და რემონტის ფაქტიურმა ხარჯებმა – 4,887.04 ლარი, სადაზღვევო ხარჯებმა - 53,253.23, სანიტარული მომსახურების ხარჯებმა - 2,934.00 ლარი, სამეურნეო ხარჯებმა - 42,470.02 ლარი, ავტო-მანქანებით მომსახურების ხარჯებმა -6,878.58 ლარი, ხოლო 2006 წლის გეგმით გაუთვალისწინებელმა ელექტრომაგნიტურ თავსებადობისა და ხელშეშლებზე დაკვირვების სამსახურის მომსახურების ხარჯებმა შეადგინა 129,817.79 ლარი, რაც სიხშირული სპექტრის მონიტორინგისა და დაგეგმარების პროგრამულ-ტექნიკური სისტემის აღჭურვილობის ექსპლუატაციაში შესვლის ვადებთან დაკავშირებულ პირობებში შეტანილმა კორექტივებმა და აქედან გამომდინარე ტექნიკური მიზეზების გამო სამსახურის შეფერხებით ამუშავებამ განაპირობა.

ავტომანქანების საწვავის, შენახვისა და რემონტის ხარჯებმა 2006 წლის ფაქტიური დანახარჯების მიხედვით შეადგინა 140,545.72 ლარი. ხარჯვითი ნაწილის გაზრდა გამოიწვია კომისიის საჭიროებისათვის ავტომანქანების რაოდენობის გაზრდამ და რადიომონიტორინგის სტაციონარული სისტემის სადგურებთან (ურთას მთა, ძეგვის მთა) მუდმივმა და რეგულარულმა მიმოსვლამ და მონიტორინგის ჯგუფების სამუშაო გასვლებმა.

ძირითადი საშუალებების შეძენაზე გაწეულმა დანახარჯებმა 2,557,996.12 ლარი ანუ შესაბამის პერიოდში ბიუჯეტით დამტკიცებულზე 1,257,996.12 ლარით (96.77%-ით) მეტი შეადგინა, რაც ძირითადად, სიხშირული სპექტრის მონიტორინგის ტექნიკური აღჭურვილობის შეძენით და ექსპლუატაციაში შესვლით არის (ხელშეკრულების მიხედვით) განპირობებული;

ამავე დროს, 2006 წლის ბიუჯეტის ცალკეულ მუხლებში, წლიური შედეგების მიხედვით, მიღებულია ეკონომია. კერძოდ:

საკანცელარიო, საფოსტო, ჟურნალ-გაზეთების შეძენისა და პოლიგრაფიული მომსახურების წლიურმა დანახარჯებმა 42,826.94 ლარი ანუ დაგეგმილზე 7,173.06 ლარით ნაკლები შეადგინა. მათ შორის: საკანცელარიო ხარჯებმა შეადგინა 12,418.45

ლარი, საფოსტო ხარჯებმა - 9,143.19 ლარი, პოლიგრაფიულმა ხარჯებმა – 9,151.00 ლარი, ხოლო ჟურნალ-გაზეთების გამოწერის ხარჯებმა – 12,114.30 ლარი;

კომისიის ოფისის მიმდინარე რემონტზე 2006 წელს ხარჯები არ გაწეულა, ამ მუხლით კომისიის ბიუჯეტით გამოყოფილი იყო 60,000.00 ლარი.

ეკონომიაა აგრეთვე შრომის ანაზღაურების ფაქტიურ წლიურ ხარჯებში, რომელმაც საბიუჯეტო ანარიცხების ჩათვლით დამტკიცებულზე 46,177.61 ლარით ნაკლები შეადგინა. შრომის ანაზღაურების დანახარჯების მუხლი აგრეთვე მოიცავს მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის შრომის ანაზღაურების დაფინანსებას;

კონფერენციების ჩატარების, მუშა სემინარების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სპეციალისტთა და ექსპერტთა მომსახურებისა და სხვა ხარჯები წლიური ფაქტიური მონაცემების მიხედვით შეადგენს 31,478.55 ლარს, რაც 48,521.45 ლარით ანუ 39,35%-ით ნაკლებია კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებულზე;

სამეცნიერო და საკონსულტაციო სამუშაოთა ხარჯებმა ბიუჯეტით დამტკიცებულთან შედარებით შეადგინა 6,500.00 ლარი ანუ კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებულზე 43.5%-ით ნაკლები;

ეკონომიაა მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ძირითადი ხარჯვითი ნაწილის ხვადასხვა მუხლებში (სამსახურის შრომის ანაზღაურების გამოკლებით), რომელმაც ნაცვლად ბიუჯეტით გათვალისწინებული 40,000.00 ლარისა შეადგინა 1,425.62 ლარი.

2006 წლის მდგომარეობით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე ლიცენზიის მფლობელი კომპანიების მიერ 2001 წლიდან ჩარიცხული თანხების ოდენობამ შეადგინა 6,203,769.08 ლარი, რომელიც მთლიანად იქნა გადარიცხული სახელმწიფო ბიუჯეტში.

მარეგულირებელი კანონმდებლობა

კომისია მარეგულირებელი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ”, “დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ” და “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონებით, აგრეთვე მის მიერ მიღებული კანონქვემდებარე აქტებით.

თავი II განხორციელებული სამუშაოების ანალიზი

2006 წელს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ განხორციელდა საქმიანობა, რომელიც ითვალისწინებდა, როგორც არსებული საკანონმდებლო ბაზის დახვეწას, ასევე ავტორიზებული პირების საქმიანობასთან დაკავშირებული სადაო საკითხების დარეგულირებას.

2006 წელს კომისიამ მიიღო 10 დადგენილება:

კომისიის დადგენილებები

<u>დადგენილება 1</u>

„რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბერის N13 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

დადგენილებაში ცვლილებების მომზადება განპირობება საქართველოს პარლამენტის მიერ “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონში 2005 წლის 28 დეკემბერს ცვლილებებისა და დამატებების შეტანამ, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შეუძლია გახდეს ლიცენზიის მაძიებელი და მოიპოვოს ამოწურვადი რესურსით სარგებლობის ლიცენზია.

ამ დადგენილებით ცვლილებები შევიდა სალიცენზიო საფასურის გადახდის წესებში, ასევე დაზუსტდა ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის საწყისი საფასურის ოდენობა.

<u>დადგენილება 2</u>

“უნივერსალური მომსახურების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის N10 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

“უნივერსალური მომსახურების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის N10 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ” დადგენილების მიღება განპირობებულია “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-12 პუნქტით, რომელიც ძალაში შევიდა 2006 წლის 18 იანვარს.

<u>დადგენილება 3</u>

„ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე"

რეგლამენტის მიღება განპირობებულია სატელეფონო მომსახურების გაწევის თანამედროვე პირობების შესაბამისი წესების დანერგვის აუცილებლობით, რომელიც დაარეგულირებს, ერთის მხრივ, ოპერატორის მიერ მომსახურების გაწევის პირობებსა და კომპანიის ვალდებულებებს და, მეორე მხრივ, მომხმარებლების უფლება-მოვალეობებს.

იგი შეიცავს სიახლეებს მომსახურების სფეროში. კერძოდ, თუ მომხმარებელი სადავოდ ხდის დარიცხულ დავალიანებას და ასაჩივრებს მას, დაუშვებელია საჩივრის განხილვის მთელ პერიოდში მომსახურების შეწყვეტა ან შეზღუდვა.

აღნიშნული რეგლამენტი ხელს შეუწყობს უკანონო ჩართვებისაგან დაზარალებული მომხმარებლების უფლებების დაცვას, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ არ ეთანხმებიან დარიცხულ დავალიანებას, იძულებულნი არიან მომსახურების შეწყვეტის თავიდან ასაცილებლად დაფარონ დავალიანება იმ მომსახურებაზე, რომელიც მათ არ მიუღიათ. ასევე დაუშვებელია კომპანიის მიერ მომხმარებლისაგან სააბონენტო თანხის მიღებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ აბონენტს გააჩნია სხვა მომსახურების დავალიანება. აღნიშნული ნორმა შესაძლებელს გახდის აღმოიფხვრას ოპერატორების მიერ დამკვიდრებული მანკიერი პრაქტიკა, როდესაც დავალიანების გამო, მათ შორის სადავო, კომპანიები არ იღებენ მომხმარებლებისგან სააბონენტო გადასახადს, რაც შემდგომ მომსახურების შეწყვეტის, სააბონენტო ნომრის ჩამორთმევისა და სხვაზე გასხვისების საფუძველი ხდება.

ასევე სიახლეა ის, რომ მომსახურების შეზღუდვისას მომსახურების მიმწოდებელმა უნდა გამოიყენოს ის ფორმა, რომელიც უსაფუძვლოდ არ შეზღუდავს მომხმარებლების ინტერესებს - ისარგებლოს მომსახურების სხვა სახეებით, რაც ასევე პრაქტიკაში დანერგილი იყო კომპანიების მიერ.

ამდენად, რეგლამენტი აღნიშნული რედაქცია ხელს შეუწყობს მომხმარებელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

<u>დადგენილება 4</u>

"საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" დამტკიცების თაობაზე კომისიის 2003 წლის 27 ივნისის N 1 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

აღნიშნული დადგენილებით "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისი ცვლილებები შევიდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელ წესებში.

<u>დადგენილება 5</u>

ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების დამტკიცების შესახებ

მეთოდოლოგიური წესები შემუშავებულია "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-7 პუნქტის ვ) ქვეპუნქტის და 35-ე მუხლის 5-ე პუნქტის შესაბამისად. აღნიშნული ნორმატიული აქტის შემუშავებისას საფუძვლად აღებულ იქნა "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონი, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკაში დანერგილი პრინციპები, ევროკომისიის შესაბამისი რეკომენდაციები და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) შესაბამისი პრინციპები.

დებულებაში განსაზღვრულია დანახარჯებისა და შემოსავლების აღრიცხვისა და განაწილების ძირითადი პრინციპები და წესები, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მნიშვნელოვანი საბაზრო ძალის მქონე ავტორიზებული პირის მიერ მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე განხორციელებული საქმიანობისას დანახარჯების აღრიცხვის, განაწილებისა და მომსახურების ტარიფების გასაანგარიშებლად.

დებულება ხელს უწყობს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალის მქონე ავტორიზებული პირების მიერ მომსახურების ბაზარზე ეკონომიკურად გამართლებული, არადისკრიმინაციული, გამჭვირვალე და დაბალანსებული ტარიფების დადგენას.

<u>დადგენილება 6</u>

რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოში რადიოსიხშირული სპექტრის რაციონალური გამოყენებისა და ეფექტური რეგულირების მიზნით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შეადგინა "საქართველოში რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების და გამოყენების ცხრილი", რომელიც "საქართველოში რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის" საფუძველს წარმოადგენს.

აღნიშნული გეგმა შემუშავდა მსოფლიოს პირველი რეგიონისთვის (რომელსაც მიეკუთვნება საქართველო), საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU), ევროპის რადიოკომუნიკაციების კომიტეტის (ERC), აგრეთვე ფოსტის და ტელეკომუნიკაციების ადმინისტრაციების ევროპის კონფერენციების (CEPT) რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილებების საფუძველზე, ცხრილში მოცემული "შენიშვნების" გათვალისწინებით.

საქართველოს სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, სიხშირული ზოლების გამოყენების სავარაუდო ვადები და პერსპექტიული დანიშნულება განისაზღვრება საერთაშორისო მოთხოვნების და განვითარების ტენდენციების შესაბამისად.

<u>დადგენილება 7</u>

"საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის N1 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 24 მარტის N 4 დადგენილებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე

დადგენილებით ცვლილებები და დამატებები შევიდა "მაუწყებლობის შესახებ", "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" და "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონების მოთხოვნებთან დებულების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ცვლილებები შევიდა იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება კომისიის მიერ ადმინისტრაციულ საქმისწარმოებას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის გათვალისწინებით.

დადგენილებაში დეტალურადა განისაზღვრა კომისიის მიერ მონიტორინგისა და შემოწმების ჩატარების წესები, ასევე დაზუსტდა შემოწმების აქტის ფორმა, რომელიც თან ერთვის დადგენილებას.

იმის გათვალისწინებით, რომ სამოყვარულო რადიოკავშირის დასამყარებლად კომისია ახორციელებს მხოლოდ რადიოსახმობის მინიჭებას და გაუქმებულია ნებართვა, შესწორებები შევიდა მარეგულირებელი წესების 51-ე მუხლის პირობებში.

<u>დადგენილება 8</u>

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის N 3 დადგენილებით დამტკიცებულ "ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტში" ცვლილებების შეტანის თაობაზე

რეგლამენტში შესული ცვლილებების შესაბამისად განისაზღვრა ინტერნეტ-მომსახურების, მობილური, საერთაშორისო და საქალაქთაშორისო მომსახურების მიწოდებისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის პირობები. რეგლამენტის ცვლილებებით დაზუსტდა ერთის მხრივ, კომპანიის მხრიდან მომსახურების გაწევის პირობები და ვალდებულებები და მეორეს მხრივ, მომხმარებლების უფლება-მოვალეობები. ცვლილებები შეეხო ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფას და მისი ეფექტიანობის გაზრდას. აღნიშნული ცვლილებების შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა ევროპის ქვეყნების საუკეთესო გამოცდილება კომუნიკაციების ამ სახეების რეგულირებასთან დაკავშირებით. კომისიაში შემოსული მომხმარებელთა საჩივრების ხასიათიდან გამომდინარე, განისაზღვრა მთელი რიგი პრიორიტეტული საკითხები, როგორებიცაა სტანდარტების შესაბამისი ხარისხით მომსახურება, მომხმარებელთა ინფორმირებულობის დონის ამაღლება, მომხმარებელთა პერსონალური ინფორმაციის დაცვა, მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანების დაცვა, კომპანიის ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა, გასაჩივრების შიდა კორპორატიული მექანიზმების ამოქმედების წესები და სხვა.

<u>დადგენილება 9</u>

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის N 3 დადგენილებით დამტკიცებულ "ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტში" ცვლილების შეტანის თაობაზე

"ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტში" ცვლილება შევიდა მე-20 მუხლის მე-2 პუნქტში, სადაც განისაზღვრა საანგარიშო პერიოდის ინფორმაციის უფასოდ მიწოდების ვალდებულება, ხოლო შემომავალი ზარების ნომრებთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცემაზე ტარიფის დადგენის უფლებამოსილება.

<u>დადგენილება 10</u>

ადგილობრივი მაუწყებლობის ზონალური დაყოფის შესახებ

საქართველოს ტერიტორიის საეთერო მაუწყებლობის მომსახურების ზონებად დაყოფა საეთერო მაუწყებლობისათვის ამჟამად გამოყენებული და ახალი ლიცენზიების გასაცემად გათვალისწინებული სიხშირული სპექტრის ზოლების სისტემიზაციის და ეფექტური რეგულირების საშუალებას იძლევა.

საეთერო მაუწყებლობის ზონალური დაყოფა განხორციელდა სპეციალიზირებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით, საქართველოს რელიეფის თავისებურებების, ელექრომაგნიტური ტალღების გავრცელების ფიზიკური თვისებების გათვალისწინებით რაც, თავის მხრივ, რადიოსიხშირული რესურსის ოპტიმალური გამოყენების საფუძველს წარმოადგენს.

აღნიშნული დადგენილების შესაბამისად საქართველოს ტერიტორიის საეთერო მაუწყებლობის მომსახურების ზონებად დაყოფით გამარტივდა ლიცენზირებული საეთერო მაუწყებლების გადამცემი სადგურების მიერ გამოყენებული სიხშირული რესურსის ტერიტორიული განაწილების რეალური სურათის სისტემატურად წარმოდგენის ამოცანა და შესაბამისად, შესაძლებელი გახდა დამატებითი სიხშირული რესურსის გამოყოფისა და ახალი გადამცემების ინტეგრირების შესაძლებლობის ობიექტური ანალიზი.

კომისიის გადაწყვეტილებები

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2006 წელს მიიღო 582 გადაწყვეტილება, აქედან:

ცხრილი 1

	გადაწყვეტილების ტიპი	რაოდენობა
	სხვა ქვეყნების სადგურებისათვის მინიჭებული სიხშირეების გამოყენებაზე თანხმობის გაცემის შესახებ	36
	კომისიის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ	50
	კომისიის მიერ სხვადასხვა დროს მიღებულ გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის შესახებ	24
	სიხშირეების მინიჭების შესახებ	157
	რადიომოყვარულთათვის რადიოელექტრონული საშუალებებისა და მოწყობილობების გამოყენებისთვის სახმობის მინიჭების შესახებ	84
	საზღვაო ხომალდებისათვის სახმობისა და ამოცნობის ნიშნების მინიჭების შესახებ	18
	სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ	25
	ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ	3
	აუქციონის/კონკურსის გამოცხადების შესახებ	25
	აუქციონის ჩაშლილად გაცხადების შესახებ	5
	აუქციონში/კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ	20
	ლიცენზიის გაცემის შესახებ	33
	ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ	9
	ლიცენზიის ვადის გაგრძელების შესახებ	3
	ლიცენზიის გადაპირების შესახებ	17
	დავის განხილვის შესახებ	5
	დავის განხილვის დღის დანიშვნის შესახებ	6
	დავის განხილვის გადადების შესახებ	3
	დავის შეწყვეტის შესახებ	3
	კომპანიებისათვის დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ	8
	კომპანიების მოთხოვნით, მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ნაწილის კომერციულ საიდუმლოდ ცნობის შესახებ	3
	შემოსული განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ	14
	გაფრთხილების შესახებ	8
	სხვადასხვა	23

უმეტეს შემთხვევაში (157) გადაწყვეტილებები სიხშირეების მინიჭების შესახებ შეეხო შიდასაწარმოო და ტექნოლოგიური დანიშნულებით, არაკომერციული მიზნით მათ გამოყენებას. სიხშირეების მინიჭების თაობაზე კომისიას მიმართეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებმა, ინდივიდუალურმა მეწარმეებმა, უცხო ქვეყნის საელჩოებმა, ჰუმანიტარულმა ორგანიზაციებმა და სხვა პირებმა.

აუქციონები

2006 წელს კომისიის მიერ გამოცხადდა 24 აუქციონი და 1 კონკურსი. აქედან:

- ნუმერაციის რესურსით სარგებლობისათვის ლიცენზიის მისაღებად - 12 (2 შემთხვევაში აუქციონი ჩაშლილად გამოცხადდა)
- რადიოსარელეო კავშირებისათვის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად - 1
- მობილური საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად -1
- რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად – 10 (2 შემთხვევაში აუქციონი ჩაშლილად გამოცხადდა)
- კერძო სპეციალიზირებულ რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად - 1

კომისიამ ჩაშლილად გამოაცხადა 4 აუქციონი და 1 კონკურსი (აქედან ერთი შემთხვევა შეეხებოდა 2005 წელს გამოცხადებულ აუქციონს), ლიცენზიის მაძიებლების მხრიდან განაცხადების წარმოუდგენლობის გამო.

ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებულმა აუქციონებმა. საერთო ჯამში, ჩატარებული აუქციონებიდან შემოსულმა თანხამ 132,5 მლნ. ლარი შეადგინა, რაც მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხა.

ავტორიზაცია-ლიცენზირება

2006 წლის ბოლოსთვის, კომისიის უწყებრივი რესტრის საინფორმაციო სისტემის მონაცემების მიხედვით:

- რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობაზე გაცემულია 46 ლიცენზია
- ნუმერაციის რესურსის გამოყენებაზე გაცემულია 98 ლიცენზია
- 194 პირმა გაიარა ავტორიზაცია. აქედან 2006 წელს, ავტორიზაცია გაიარა 148 იურიდიულმა და ფიზიკურმა პირმა. 2006 წელს ავროტიზაცია გაირეს შემდეგ საქმიანობის სახეებზე (თითო პირმა რამდენიმე მომსახურების სახეზე):
    - ადგილობრივ საკომუნიკაციო მომსახურებაზე- 49
    - ინტერნეტით მომსახურებაზე-51
    - საკაბელო სატრანზიტო ტელემაუწყებლობაზე- 83
    - საერთაშორისო საკომუნიკაციო მომსახურებაზე- 46
    - მობილური საკომუნიკაციო მომსახურებაზე - 11
    - საქალაქთაშორისო საკომუნიკაციო მომსახურებაზე-44
    - სამაუწყებლო მომსახურებაზე -1
    - საკაბელო სატრანზიტო რადიომაუწყებლობაზე -12
    - სხვა საკომუნიკაციო მომსახურებაზე -3

2006 წელს კომისიას ავტორიზაციის გაუქმების თხოვნით მიმართა 9 კომპანიამ და 2-მა ინდივიდუალურმა მეწარმემ. სეგმენტების მიხედვით გაუქმებული ავტორიზაციები შემდეგნაირად ნაწილდება: ადგილობრივი საკომუნიკაციო მომსახურებაზე- 3, ინტერნეტით მომსახურებაზე- 2, საკაბელო სატრანზიტო ტელემაუწყებლობაზე- 5, საერთაშორისო საკომუნიკაციო მომსახურებაზე-1, მობილური საკომუნიკაციო მომსახურებაზე-1, საქალაქთაშორისო საკომუნიკაციო მომსახურებაზე- 1 და სხვა საკომუნიკაციო მომსახურებაზე-1.

ლიცენზირებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებებიდან ლიცენზიის გაცემას შეეხო 57 გადაწყვეტილება, ლიცენზიის პირობების მოდიფიცირებას - 7, ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებას - 2, გადაპირებას - 2 და კონკურსში გამარჯვებულად ცნობას - 7. მიღებულია ასევე 7 გადაწყვეტილება ლიცენზიის მოქმედების შეჩერების შესახებ.

რადიოელექტრონული საშუალებების სერტიფიცირება, სახმობების მინიჭება

საქართველოში მაღალსიხშირული მოწყობილობების შემოტანაზე წარმოდგენილი მასალების განხილვისას და შემოსატანი მოწყობილობების ფუნქციონალური დანიშნულების დადგენის შედეგად 2006 წელს სხვადასხვა კომპანიაზე გაიცა 186 შესაბამისი დოკუმენტაცია ტვირთის განსაბაჟებლად.

საქართველოს სახელმწიფო დროშის ქვეშ მცურავი ხომალდებისათვის სახმობებისა და ამოცნობის ნიშნების მინიჭებასთან დაკავშირებით დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა 18 გადაწყვეტილება. სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიომოყვარულებისათვის რადიოელექტრონული საშუალებების და მაღალსიხშირული მოწყობილობების გამოყენებისათვის სახმობის მინიჭებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა 84 გადაწყვეტილება. სხვა ქვეყნების სადგურებისათვის მინიჭებული სიხშირეების გამოყენებაზე თანხმობის შესახებ მიღებულ იქნა 36 გადაწყვეტილება.

რადიოსიხშირული სპექტრის მართვა, რადიომონიტორინგი და კოორდინაცია

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სიხშირული სპექტრის დაგეგმარების, მართვის, ელექტრომაგნიტური თავსებადობისა და საერთაშორისო კოორდინაციის უზრუნველყოფა, რადიოსიხშირული სპექტრის ქვეყნის ტერიტორიაზე რაციონალური და ეფექტური განაწილების მიზნით რადიომონიტორინგის განხორციელება, ასევე სიხშირული სპექტრის განაწილების გეგმის შედგენა, სიხშირული სპექტრის გამოყენებაზე ზედამხედველობა და გამოვლენილ ხელშეშლებზე რეაგირება.

იმისათვის, რომ ეთერში არსებული სიტუაციის შესახებ კომისიას გააჩნდეს ობიექტური და დროული ინფორმაცია, შეიქმნა რადიომონიტორინგის ერთიანი ავტომატური სისტემა, რომელიც მისცემს კომისიას რადიომინიტორინგის დისტანციური და მყისიერი დაკვირვების განხორციელების საშუალებას. ამისათვის, საქართველოს ტერიტორიაზე, სხვადასხვა წერტილებში განლაგდა

რადიომონიტორინგის სტაციონარული მიმღები სადგურები, რომელთა მეშვეობით კონტროლდება მოცემულ რეგიონებში და ქვეყნის მიმდებარე ტერიტორიებზე მოქმედი რადიოსადგურების ფუნქციონირება, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს რადიოსიხშირეთა ეფექტურ განაწილებასა და ეთერში წესრიგის დამყარებას, აგრეთვე უნებართვო და არარეგისტრირებული რადიოსადგურების დაფიქსირებას და მათი ადგილმდებარეობის დადგენას.

რადიოსიხშირული სპექტრის მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს ერთიან სისტემას, რომელიც სპეციალური ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით აკავშირებს ერთმანეთს რადიომიმღებ მოწყობილობებს და სხვადასხვა ტექნიკურ კომპონენტებს. სისტემა საშუალებას იძლევა, რომ დისტანციურად განხორციელდეს როგორც რადიომონიტორინგი, ასევე გამომსხივებელი ტექნიკური საშუალებების რადიოპელენგაცია. აგრეთვე, შესაძლებელია ყველა წერტილიდან (სტაციონარული და მობილური) მიღებული შედეგების ინტეგრირებულად შეგროვება და დამუშავება, რომლის შემდეგ ხდება მიღებული მონაცემების შედარება არსებულ მონაცემთა ბაზასთან უნებართვო რადიოსადგურების ფუნქციონირების ან კანონიერად მოქმედი სადგურებისათვის შექმნილი რადიოხელშეშლების გამოვლენის მიზნით.

2006 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა რადიოკავშირის რეგიონალურ კონფერენციაზე - RRC-06, საქართველოსთვის ციფრული და ანალოგური სატელევიზიო სადგურების, ასევე სხვა სამსახურების კონკრეტული სიხშირული მინიჭებების გეგმაში შეტანასთან დაკავშირებით. 2006 წელს ITU-მ გამოაქვეყნა ციფრული სატელევიზიო არხების ახალი განაწილების გეგმა. წინასწარი განაწილების შედეგად საქართველოსათვის გამოიყო კოორდინირებული ციფრული სატელევიზიო არხის 72 სიხშირული ზოლი. საანგარიშო პერიოდში მეზობელ ქვეყნებთან მრავალმხრივი მოლაპარაკებებისა და შესაბამისი საკოორდინაციო ხელშეკრულებების ხელმოწერის შედეგად შესაძლებელი გახდა აღნიშნული არხების რაოდენობის 72-დან 170-მდე გაზრდა. ანალოგურიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გარდამავალი პერიოდისთვის დარეგისტრირებული იქნა 418 თავსებადი ანალოგური სატელევიზიო სადგური (გეგმაში შეტანილი იქნა 94 სატელევიზიო სადგური) და 7 სიხშირული მინიჭება საჰაერო სანავიგაციო სამსახურებისათვის, აღნიშნული ინფორმაცია შეტანილ იქნა საერთაშორისო ციფრულ რეესტრში. აღსანიშნავია რომ, გამოყოფილი სამაუწყებლო არხების რაოდენობას დაეთანხმა ITU-ც და საქართველოს მდგომარეობა მიიჩნია რეგიონში "ეტალონურ სიტუაციად".

2006 წლის განმავლობაში 4-ჯერ იქნა შემოწმებული საქართველოში მოქმედი საეთერო ტელე და რადიო კომპანიების საქმიანობა. ძირითადში გამოვლენილ იქნა ამ კომპანიების მიერ მათთვის მინიჭებული სიხშირული ზოლებთან დაკავშირებული დარღვევები და რიგ შემთხვევებში დარღვეული იყო სამაუწყებლო ზონის საზღვრები. 10-ჯერ იქნა შემოწმებული ბაზარზე მოქმედი სატელეფონო კომპანიების ტექნიკური საშუალებები. გამოვლენილ იქნა დარღვევები კომპანიებს შორის დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით იჯარით აღებული სახაზო საკაბელო წყვილების მომსახურებაზე. კომისიის შესაბამისი დეპარტამენტის მიერ შედგენილია 14 შემოწმების აქტი.

ამასთან, ყოველთვიური პერიოდულობით განხორციელდა საქართველოს საკომუნიკაციო ბაზარზე მოქმედი ოპერატორების მიერ წამოწყებული და დასრულებული ტრაფიკების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი და შედეგების კომისიისათვის წარდგენა.

2006 წლის განმავლობაში მეზობელ ქვეყნებთან კოორდინირებული იქნა რიგი სატელევიზიო არხები. მაგალითისათვის: შპს "იმედისა" და შპს "რუსთავი 2"-ის სატელევიზიო სიგნალები ვრცელდებოდა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სახელმწიფო საზღვრიდან 150 კილომეტრის დაშორებით, რაც ელექტრომაგნიტურ ხელშეშლას ქმნიდა განჯის რაიონში. ამასთან, რამდენიმე რადიო არხი აზერბაიჯანის ტერიტორიიდან შემოდიოდა კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში. აზერბაიჯანელ კოლეგებთან ურთიერთთანამშრომლობით საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ჩატარებული სიხშირული მონიტორინგისა და მოლაპარაკების შედეგად მოხდა აღნიშნული ხელშეშლების აღმოფხვრა.

2006 წელს, ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან ერთად დაიწყო ქვეყნის შიგნით საქალაქთაშორისო კოდების მოწესრიგების პროცესი. საქალაქთაშორისო კოდების მოწესრიგება ითვალისწინებს საქართველოს ორ ნაწილად გაყოფას (დასავლეთ საქართველო "4", ხოლო აღმოსავლეთ საქართველო "3"). როგორც ცნობილია, 1991 წლიდან (საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ) საქართველოს საქალაქთაშორისო კოდები დაყოფილი იყო (საბჭოთა კავშირის მიერ) 4 ნაწილად: აფხაზეთი – "12"; დასავლეთ საქართველო "2"; აჭარა – "822", ხოლო აღმოსავლეთ საქართველო "3". ამის შედეგად აფხზეთს მიენიჭა კოდი 44.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, 3-ჯერ ჩატარდა სხვადასხვა ტიპის სიხშირულ მინიტორინგი, რომელიც გადის გრიფით "საიდუმლო".

მომხმარებელთა უფლებების დაცვა

კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან მოქმედი მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამველის სამსახური მომხმარებელთა ინტერესების დაცვის დამატებითი გარანტიების შესაქმნელად არსებობს. სამსახურში შემოსული მომხმარებელთა საჩივრების შინაარსიდან იკვეთება რამდენიმე პრობლემა, რომლელთა გადაჭრას დიდი დრო, ძალისხმევა და, რაც მთავარია, კომპანიების მხრიდან პრობლემების გადაჭრის მზაობა და სურვილი ესაჭიროება. მრავალ სხვა პრობლემას შორის, ყველაზე მეტად მომხმარებელთა მხრიდან შემოსული საჩივრების ხასიათი ეხება შემდეგ პრობლემებს:

- საკაბელო მეურნეობის ქურდობა-დატაცების მიზეზით სატელეფონო მომსახურების შეწყვეტა;
- ხაზების დაუცველობა და მესამე პირთა მიერ აბონენტის ხაზში უკანონოდ შეღწევა.

მომხმარებელთა უფლებების დამცველის სამსახური სისტემატურად მუშაობს აღნიშნული პრობლემების გადაჭრის ღონისძიებებზე. სამსახურის ჩარევის შემდეგ, მთელ რიგ შემთხვევებში დაზიანებების აღდგენის პროცესი დაჩქარდა. რიგ

შემთხვევებში ოპერატორებს მიეცათ გაფრთხილება. სამსახურმა ასევე მიმართა შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებებს შესაბამისი ზომების მისაღებად გამოვლენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით.

უკანონო ჩართვებისაგან დაზარალებული მომხმარებლების უფლებების დაცვის მიზნით კომისიის მიერ შემუშავდა დებულება - „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტი", სადაც სხვა ნოვაციურ ნორმებთან ერთად გათვალისწინებულია ნორმა, რომლის შესაბამისად თუ მომხმარებელი სადაოდ ხდის და ასაჩივრებს მომსახურების დარიცხულ დავალიანებას, დაუშვებელია საჩივრის განხილვის მთელი პერიოდის განმავლობაში სატელეფონო მომსახურების შეწყვეტა ან შეზღუდვა. აღსანიშნავია, რომ ამ დებულების ამოქმედების შედეგად აღმოიფხვრა ის მანკიერი პრაქტიკა, როდესაც მომხმარებლები მომსახურების შეწყვეტის თავიდან აცილების მიზნით იძულებულნი იყვნენ გადაეხადათ თანხა იმ მომსახურებისათვის, რომლის მიღებასაც სადაოდ ხდიდნენ. ამ ნორმის ამოქმედების შემდეგ კომპანიები უფრო დაინტერესდნენ იმით, რომ მათ მიერვე მოხდეს მომხმარებლის საჩივრის სწრაფად, ობიექტურად განხილვა და უკანონო ჩართვების განმახორციელებელი პირების გამოვლენა. შესაბამისად, სამსახურში საგრძნობლად იკლო უკანონო ჩართვებისაგან დაზარალებული მომხმარებლების საჩივრებმა. ამავე რეგლამენტით, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში, ანგარიშს თან დაურთოს გაწეული მომსახურების სახის, ტარიფის, თარიღის, მომსახურების გაწევის დროის, დროის ხანგრძლივობის, შემომავალი და გამავალი ზარების ნომრების შესახებ ინფორმაცია, რაც მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას გადაამოწმოს მისთვის დარიცხული თანხის სისწორე, მათ შორის წუთობრივ გადასახადზე და წარადგინოს დასაბუთებული პრეტენზია. აღსანიშნავია, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც მომხმარებლები დეტალური ინფორმაციის მიღების შემდეგ უარს აცხადებენ პრეტენზიაზე. ამ ნორმამ, ასევე ხელი შეუწყო უკანონო ჩართვების განმახორციელებელი პირების გამოვლენას თვით მომხმარებლის მიერ.

საერთაშორისო ურთიერთობები

2003 წლის დეკემბერში, თურქეთის კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოს ინიციატივით, საფუძველი ჩაეყარა ევრაზიის ქვეყნებს (კერძოდ: თურქეთს, საქართველოს, აზერბაიჯანს, ყაზახეთს, ყირგიზეთს, მონღოლეთს, ტაჯიკეთს, თურქმენეთსა და უზბეკეთს) შორის ტელეკომუნიკაციების რეგულირების სფეროში ურთიერთთანამშრომლობას და ხელი მოეწერა ტელეკომუნიკაციების რეგულირების სფეროში თანამშრომლობის ურთიერთგაგების მემორანდუმს. მემორანდუმს ხელი მოაწერეს: თურქეთმა, აზერბაიჯანმა, მონღოლეთმა, საქართველომ.

ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, 2006 წლის 25-26 სექტემბერს თბილისში ტელეკომუნიკაციების რეგულირების სფეროში ევრაზიის ქვეყნების თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში ჩატარდა მეორე მაღალი დონის შეხვედრა, რომელსაც წინ უძღოდა მოსამზადებელი სამუშაო შეხვედრა (ანკარა, თურქეთი). შეხვედრაზე დამტკიცდა სამუშაო ჯგუფები (საკოორდინაციო, ბაზრის რეგულირების, შეზღუდული რესურსების), სამუშაო ჯგუფების ტექნიკური

დავალებები და გადაწყდა, რომ ჯგუფებმა აქტიური მუშაობა უნდა წამოიწყონ შეხვედრის დამთავრებისთანავე. შეირჩა და დამტკიცდა მუშა ჯგუფების ხელმძღვანელი ქვეყნები: საკოორდინაციო ჯგუფის მუშაობას უხელმძღვანელებს თურქეთი, როგორც პროექტის წამომწყები და ინიციატორი, შეზღუდული რესურსების ჯგუფს – აზერბაიჯანი, ხოლო ბაზრის რეგულირების ჯგუფს – საქართველო.

შეხვედრის ერთ-ერთ მთავარ თემას წარმოადგენდა დისკუსია რეგიონალური სასწავლო ცენტრის შექმნის შესახებ. ცენტრი უნდა შეიქმნას თურქეთში, მემორანდუმის ხელმომწერი ქვეყნების მიერ, სტამბულის სატელეკომუნიკაციო უნივერსიტეტის ხელშეწყობით.

პროექტის გაფართოების მიზნით, მხარეებმა გადაწყვიტეს, ევროპისა და აზიის სხვა ქვეყნებსაც მიმართონ წინადადებით, შეუერთდნენ ზემოხსენებულ ურთიერთგაგების მემორანდუმს.

ტელე-რადიო მაუწყებლობის შინაარსობრივი რეგულირება

2006 წელს საქართველოში გაგრძელდა ტელე-რადიო მაუწყებლობის ოპერატორების შემოსავლების ზრდის ტენდენცია და 52.2 მლნ. ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 20.495 მილიონი ლარით მეტია.

ცხრილი 2

	2001	2002	2003	2004	2005	2006
ზრდის ტემპი	16.2%	8.7%	51.2%	37.1%	22.6%	64.6%

2006 წელს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ რადიოსიხშირული სპექტრის რაციონალური გამოყენებისა და ეფექტური რეგულირების მიზნით შემუშავდა დადგენილება N 6 რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ერონული გეგმის დამტკიცების შესახებ. დადგენილების მიღებას წინ უძღოდა “რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის” შემუშავება, სადაც გათვალისწინებულია საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები და დასკვნები და რომელიც შეესაბამება ერთიან მოთხოვნებს. ამავე წლის დეკემბერში, კომისიამ მიიღო დადგენილება “ადგილობრივი მაუწყებლობის ზონალური დაყოფის შესახებ” (დადგენილება 10). დადგენილების მიღება მიზნად ისახავს სიხშირული სპექტრის სისტემატიზაციას, რაც ეფექტური რეგულირების საშუალებას იძლევა. ზონალური დაყოფის დროს გათვალისწინებულ იქნა ქვეყნის სპეციფიკა და თავისებურებები, რაც სიხშირული რესურსის ოპტიმალური გამოყენებისთვისაა საჭირო. დადგენილებაში მოცემულია ტერმინების განმარტებები, რომელთა შინაარსი და პრაქტიკული მნიშვნელობა ზონალური დაყოფის პრინციპებთან ერთობლიობაში მოქმედი და ახალი ლიცენზიების ტექნიკური პირობების კორექტულობას განაპირობებს. “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის და 76-ე მუხლის 22-ე პუნქტის შესაბამისად საეთერო მაუწყებლობის მომსახურეობის ზონაში მოსახლეობის არანაკლებ 70%-სათვის სამაუწყებლო სიგნალის ხარისხიანი მიღების ხელმისაწვდომობის ვალდებულება ეკისრებათ მხოლოდ იმ ლიცენზიანტებს, რომელთა ლიცენზიის პირობების

შესაბამისად გადამცემი სადგურის განთავსების ადგილად განსაზღვრული აქვთ საეთერო მაუწყებლობის ზონების ზოგადი დასახელების თანხვედრილი გეოგრაფიული ადგილი.

საქართველოს საეთერო მაუწყებლობის ზონები

კომისიის შესაბამისი სამსახურების მიერ, კანონმებლობით მინიჭებული ულება-მოვალეობის ფარგლებში, ჩატარდა მონიტორინგი, რომლის შედეგადაც შედგენილია 20 შემოწმების აქტი; გამოვლენილი დარღვევების გამო გაფრთხილების სანქცია დაედო 9 კომპანიას. ამავე პერიოდში ასევე გამოვლენილი იყო სხვა დარღვევებიც, მაგრამ "ქცევის კოდექსის" ძალაში შესვლამდე შეჩერებულია "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის რიგი მუხლების მოქმედება და შესაბამისად, აღნიშნულ დარღვევებზე ვერ მოხერხდა რეაგირება.

2006 წელს მაუწყებლების მიერ განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგის შედეგად "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის", 75-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 76-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, მოდიფიცირდა 50 კომპანიის ლიცენზიები. 2006 წელს გაიცა 2 ლიცენზია კერძო რადიომაუწყებლობაზე.

მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, კომისია, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე, განსაზღვრავს ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტებს. ამ მიზნით, 2004 წლის ივლისში კომისიის დაკვეთით, საქართველოს მასშტაბით ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის კვლევა, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა 2004-2006 წლებისათვის ტელერადიომაუწყებლობის ბაზრის სეგმენტის განვითარების პრიორიტეტები. კვლევის შედეგად გამოკითხული მოსახლეობის ერთმა მესამედმა გამოთქვა ქართული ფილმების ნახვის სურვილი. ასევე, მაღალია გასართობი, შემეცნებითი, სპორტული, მუსიკალური და საბავშვო გადაცემების ნახვის სურვილი.

გამოკითხულთა 46%-ზე მეტმა გამოთქვა სპეციალიზებული არხის არსებობის სურვილი, როგორც თბილისში, ასევე რაიონებში (სპეციალიზებული ტელემაუწყებელობის არხების ჟანრებს შორის მაღალი რეიტინგით გამოირჩევა: მხატვრული ფილმები - 56.1%, მუსიკალური - 43.6%, სპორტული - 39.3%, საინფორმაციო - 29.7%, იუმორისტულ-გასართობი - 25.6% გადაცემები).

კვლევისას დადგინდა, რომ რადიომაუწყებლობის მსმენელთა უმეტესობა გადაცემების მოსმენის დროს უპირატესობას ანიჭებს ქართულ ესტრადას. გამოკითხულთა 40.5% დაინტერესებას გამოხატავს ძველი ქართული ესტრადის მიმართ, ხოლო თანამედროვეს უპირატესობას ანიჭებს - 39.8%. თანამედროვე უცხოური და რუსული ესტრადა შესაბამისად პრიორიტეტულია რესპოდენტების 6.6% და 6.4% -სთვის.

ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად კონკურსის გამოცხადებისა და პროგრამირების ასპექტით კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენისას კომისია ითვალისწინებს ამ პრიორიტეტებს და ლიცენზიის მაძიებელთა მიერ წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციების მათთან შესაბამისობას.

2007 წელს იგეგმება ანალოგიური ხასიათის კვლევის ჩატარება, რაც საშუალებას მისცემს კომისიას განსაზღვროს შემდგომი წლების მოქმედების სფერო და პრიორიტეტები.

თავი III ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურების ბაზრის განვითარების მიმოხილვა

2005 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონი. ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის დაწყების მსურველმა იურიდიულმა თუ ფიზიკურმა პირმა ავტორიზაცია უნდა გაიაროს კომისიაში.

2005-2006 წლების განმავლობაში 9 სხვადასხვა სახის საქმიანობაზე ავტორიზაცია გაიარა სულ 194 იურიდიულმა და ფიზიკურმა პირმა (სულ 372 ავტორიზაცია) სხვადასხვა სახის საქმიანობაზე, მათ შორის:

ცხრილი 3

		2005	2006	სულ
1	ადგილობრივი საკომუნიკაციო მომსახურება	14	49	63
2	ინტერნეტით მომსახურება	13	51	64
3	საკაბელო სატრანზიტო ტელემაუწყებლობა	2	83	85
4	საერთაშორისო საკომუნიკაციო მომსახურება	15	46	61
5	მობილური საკომუნიკაციო მომსახურება	3	11	14
6	საქალაქთაშორისო საკომუნიკაციო მომსახურება	11	44	55
7	სამაუწყებლო მომსახურება	2	1	3
8	საკაბელო სატრანზიტო რადიომაუწყებლობა		12	12
9	სხვა საკომუნიკაციო მომსახურება	12	3	15

დიაგრამა 2



2006 წელს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის მთლიანმა შემოსავლებმა (დღგ-ს ჩათვლით) 1 მლრდ ლარს გადააჭარბა. დარგის საერთო შემოსავლები 2005 წელთან შედარებით 292,6 მლნ ლარით გაიზარდა (იხ. დიაგრამა 2, 2006 წლის მთლიან შემოსავლებში საფოსტო მომსახურების დარგის შემოსავლები არაა გათვალისწინებული). 2003-2005 წლებში საკომუნიკაციო დარგის საერთო შემოსავლების წლიური ზრდის ტემპი კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. 2006 წელს კი ჯამური შემოსავლების

დიაგრამა 3



წლიურმა ზრდის ტემპმა 39,95% შეადგინა (იხ დიაგრამა 3).

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2003-2006 წლებში საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების დარგის ყოველთვიური შემოსავლების საშუალო ოდენობა საქართველოს ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით გაიზარდა 9.48 ლარიდან (2003 წ.), 19,4 ლარამდე (2006 წ.). აღნიშნული ზრდა დაფიქსირდა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების საერთო ტარიფების დონის შემცირების ფონზე.

ფიქსირებული საკომუნიკაციო ბაზრის სეგმენტებზე კონკურენციის განვითარების მახასიათებლების (მათ შორის ჰერფინდალ-ჰირშმანის კონცენტრაციის ინდექსის – HHI იხ. ცხრილი 4) გაანალიზებისას ნათლად გამოიკვეთა, როგორც ცალკეულ სეგმენტზე საბაზრო კონკურენციის ხარისხობრივი მატების ტენდენცია (მაგალითად ადგილობრივი ფართოზოლოვანი უსადენო დაშვების ბაზრის სეგმენტზე), ასევე ის ამოცანები, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია ამ პროცესების შემდგომი ხელშეწყობისა და ბაზრის ცალკეული სეგმენტების კონკურენტული გაფართოებისათვის.

ცხრილი 4

HHI (ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი)

ბაზრის სეგმენტი	2000	2005	2006
სააბონენტო წყვილების იჯარა	4 733	3 909	4 647
ადგილობრივი სატელეფონო კავშირი	3 789	2 974	2 462
მაგისტრალური არხების იჯარა	9,567	9 527	4 864
მობილურ აბონენტებთან სატელეფონო კავშირი	2 101	3 281	3 576
საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირი	2 801	1 396	1 852
საერთაშორისო სატელეფონო კავშირი	2 522	1 924	1 648
ინტერნეტის ქსელით მომსახურება	3 376	1 745	2 121
ადგილობრივი ფართოზოლოვანი უსადენო დაშვება	10 000	10 000	5 046
ურთიერთჩართვა და დაშვება	2 179	3 671	2 943
მობილური საკომუნიკაციო მომსახურება	5 670	5 572	5 065

<u>დარგის შემოსავლების წილი ეკონომიკის მთლიან შიდა პროდუქტში</u>

2000 წლიდან დაწყებული, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის შემოსავლების წილი მთლიან შიდა პროდუქტში სისტემატური ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2000 წელს, აღნიშნული მაჩვენებლის ოდენობა 3.52%-ს შეადგენდა, 2006 წლისათვის კი 7.49%-ს მიაღწია (იხ. ცხრილი 5).

ცხრილი 5

საკომუნიკაციო დარგის შემოსავლების წილი მშპ-ში

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006
საკომუნიკაციო დარგის შემოსავლები (მლნ. ლარი დღგ-ს ჩათვლით)	211,52	268,52	339,84	459,07	595,96	715,52	1001,4
მშპ (მლნ. ლარი)	6 015,4	6 647,9	7 459,4	8 560,1	9 422	11 513	13 370
საკომუნიკაციო დარგის შემოსავლების წილი მშპ-ში (%)	3.52%	4.04%	4.56%	5.36%	6.33%	6.21%	7.49%
მშპ-ს ზრდის ტემპი		10.0%	11.60%	14.29%	15.85%	13.07%	15.05%

აგრეთვე, აღსანიშნავია ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის ჯამური შემოსავლების ზრდის ტემპის მაჩვენებლის შედარებითი ანალიზი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მატების ტემპთან შედარებით. 2000-2006 წლების მანძილზე, ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის შემოსავლების წლიური ზრდის ტემპი პრაქტიკულად აღემატებოდა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპს (იხ დიაგრამა 4).

დიაგრამა 4



2006 წელს დაფიქსირდა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის წინა წელთან შედარებით 15,05%-იანი ზრდა, როდესაც, როგორც ზემოთ ავღნიშნავდით, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სფეროს ჯამური შემოსავლები იმავე წელს 39,95%-ით გაიზარდა.

<u>ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის სეგმენტების განვითარების დინამიკა</u>

ელექტრონული საკომუნიკაციო ბაზრის ცალკეულ სეგმენტზე მოქმედი ოპერატორების მიერ მომსახურების სახეების მიხედვით მიღებული შემოსავლების პროცენტული განაწილება და მათი მატების დინამიკა ნათლად მეტყველებს დარგის საერთო განვითარების ტენდენციებზე.

2006 წელს, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მთლიანი შემოსავლების თითქმის 65%-იანი წილი მობილური საკომუნიკაციო მომსახურების სეგემენტზე მოდის (იხ. დიაგრამა 5). აღნიშნული მაჩვენებელი 2004 წელს 59.6% შეადგენდა, ხოლო 2005 წელს - 59.4%-ს. მობილური კომუნიკაციების საგმენტზე მოქმედი ოპერატორების ჯამური შემოსავლები 2006 წელს 225,4 მლნ. ლარით გაიზარდა.

დიაგრამა 5



2006 წელს ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის სეგმენტზე მოქმედი ოპერატორების შემოსავლები წინა წელთან შედარებით 46,7,8 მლნ. ლარით გაიზარდა და 298,8 მლნ ლარი შეადგინა, რაც პროცენტულად წინა წელთან შედარებით 29.8%-იან ზრდას შეადგენს.

ტელე-რადიო მაუწყებლობის ბაზრის ლიბერალიზაციის და გაფართოების ტენდენცია 2006 წელსაც დაფიქსირდა. აღნიშნული სეგმენტი ჩამოყალიბდა, როგორც ეკონომიურად მომგებიანი სექტორი. მისი წილი 2006 წლის მონაცემებით, მთლიანად ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის 5.22%-ია; აბსოლუტურ მონაცემებში მან 52,2 მლნ. ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 64.6%-იანი ზრდაზე მიანიშნებს. 2006 წელს ამ სეგმენტზე ჯამური შემოსავლების წლიურმა ზრდამ 20,5 მლნ.ლარი შეადგინა.

ცხრილში N6 ნათლად არის მოცემული 2004-2006 წლების პერიოდში საკომუნიკაციო ბაზრის ცალკეული სეგმენტების განვითარების ტენდენციები (2005 წელს საფოსტო მომსახურების ბაზარი განთავისუფლდა რეგულირებისაგან)

საკომუნიკაციო ბაზრის ცალკეული სეგმენტების წლიური ზრდის ტემპი ცხრილი 6

	2001	2002	2003	2004	2005	2006
×ÉØÓÉÒÄÁÖËÉ ÓÀÔÄËÄ× Ï Í Ï	24.0%	19.7%	28.2%	22.5%	21.8%	18.5%
Ì Ï ÁÉËÖÒÉ ÓÀÔÄËÄ× Ï Í Ï	30.4%	34.8%	40.4%	33.9%	19.7%	53.1%
ÌÀÖßÚÄÁËÏ ÁÀ	16.2%	8.7%	51.2%	37.1%	22.6%	64.6%

<u>ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურება</u>

ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის ჯამური შემოსავლები 2006 წელს 298,8 მლნ. ლარამდე გაიზარდა. წინა წელთან შედარებით ამ სეგმენტის შემოსავლების ზრდის ტემპმა 18.5% შეადგინა. 2006 წელს აღნიშნული მომსახურების სეგმენტის წილმა საკომუნიკაციო დარგის მთლიან შემოსავლებში 29.8% შეადგინა.

ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ბაზრის სეგმენტზე შემოსავლების უმეტესი წილი ს/ს "საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიაზე" მოდის. მისი, შპს "ახტელისა" და შპს "ახალი ქსელების" ერთობლივი წილი აღნიშნულ სეგმენტზე თითქმის 90%-ს შეადგენს.

ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების (აქტიური სატელეფონო ხაზების) რაოდენობა 2000-2006 წლების პერიოდში დაახლოებით 11,96%-ით გაიზარდა და 2006 წლის დასასრულს 553 ათასი აბონენტი შეადგინა (იხ. ცხრილი 7).

სატელეფონო მომსახურების აბონენტები **ცხრილი 7**

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006
ფიქსირებული ქსელის აბონენტები	493,999	500,602	511,871	519,581	532,755	544,417	553,105

დიაგრამა 6



2000-2006 წლების პერიოდში, ზრდის ტენდენცია შენარჩუნდა ადგილობრივი სატელეფონო ოპერატორების (საერთაშორისო კავშირით და ინტერნეტით მომსახურების შემოსავლების გარდა) ჯამურ შემოსავლებში და იგი 50 მლნ. ლარიდან გაიზარდა 185,7 მლნ. ლარამდე (იხ. დიაგრამა 6).

2006 წელს, ამ სეგმენტზე მოქმედი ოპერატორების შემოსავლების წლიურმა ზრდის ტემპმა 27.7% შეადგინა, ხოლო შემოსავლების ზრდამ - 40.3 მლნ. ლარი (იხ დიაგრამა 7).



2006 წელს შედარებით ნაკლები ზრდა დაფიქსირდა საერთაშორისო ოპერატორების სატელეფონო მომსახურების ბაზრის სეგმენტზე. 2006 წელს ქვეყნის

საკომუნიკაციო ქსელებიდან საერთაშორისო სატელეფონო მომსახურების

დიაგრამა 8



გამავალი ტრაფიკის მოცულობა წინა წელთან შედარებით პრაქტიკულად არ შეცვლილა და 105,5 მლნ. წუთი შეადგინა. საერთაშორისო სატელეფონო მომსახურების შემომავალი ტრაფიკის მოცულობა 17,87%-ით გაიზარდა და 335,8 მლნ. წუთი შეადგინა. 2006 წელს საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურების ოპერატორების ჯამურმა შემოსავალმა 86,9 მლნ.ლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით პრაქტიკულად არ შეცვლილა (იხ დიაგრამა 9).

დიაგრამა 9



2001-2006 წლების განმავლობაში, განხილულ სეგმენტზე მოქმედი ოპერატორების საერთო შემოსავლების წლიური ზრდის ტემპმა მაქსიმალურ მაჩვენებელს - 37,2%-ს 2004 წელს მიაღწია. ამავე მაჩვენებელმა 2005 წელს 15,1% შეადგინა, ხოლო 2006 წელს, როგორც ავღნიშნეთ, ჯამური შემოსავლების ოდენობა პრაქტიკულად არ შეცვლილა.

მობილური საკომუნიკაციო მომსახურება

დიაგრამა 10



2006 წელს კვლავ შენარჩუნდა მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის სეგმენტის ზრდის უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიცია. 2006 წელს ამ სეგმენტის საერთო შემოსავლების (დღგ-ს ჩათვლით) მოცულობამ 650 მლნ. ლარს გადააჭარბა (იხ დიაგრამა 10), რაც წინა წელთან შედარებით 53.1%-იან ზრდის ტემპზე მიანიშნებს (იხ. დიაგრამა 11). უკანასკნელი წლების განმავლობაში 2006 წელს დაფიქსირდა ამ სეგმენტზე მოქმედი ოპერატორების საერთო შემოსავლების ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი. აქვე ავღნიშნავთ, რომ მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის სეგმენტის

დიაგრამა 11



ზრდის ტემპი დარგში ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება, ხოლო მისი წილი მთლიანად ქვეყნის საკომუნიკაციო მომსახურების ბაზარის საერთო შემოსავლებში თითქმის 65%-ს შეადგენს (2006 წლის მონაცემით).

2006 წელს მობილური სატელეფონო ქსელის აქტიური აბონენტების რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, 45%-ით გაიზარდა და დაახლოებით 1 მილიონ 704 ათასი შეადგინა (იხ დიაგრამა 12) . 2000 წლიდან 2006 წლამდე პერიოდში აქტიური აბონენტების რაოდენობის წლიურმა ზრდამ საშუალოდ 49,6% შეადგინა.

დიაგრამა 12



მობილური სატელეფონო მომსახურების აქტიური აბონენტების რაოდენობამ ჯერ კიდევ 2003 წელს გადააჭარბა ადგილობრივი სატელეფონო მომსახურების ოპერატორების აბონენტების რაოდენობას. მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ყოველთვიური შემოსავლების ოდენობა საშუალოდ ერთ აბონენტზე გადაანგარიშებით 2000 წელს 57.74 ლარს შეადგენდა. წლების მანძილზე ეს მაჩვენებელი კლების ტენდენციით ხასიათდებოდა და 2006 წელს 31.81 ლარი შეადგინა. საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით ეს ტენდენცია კანონზომიერია და განპირობებულია მობილური საკომუნიკაციო ქსელების გაფართოებისა და მომსახურების ზრდის ფონზე მთლიან სააბონენტო ბაზაში დაბალბიუჯეტიანი მომხმარებლების რაოდენობის მატებით.

<u>ინტერნეტის ქსელით მომსახურება</u>

2000-2006 წლების პერიოდში ინტერნეტის ქსელით მომსახურების ბაზრის სეგმენტზე მოქმედი ოპერატორების შემოსავლები 3,7 მლნ. ლარიდან 26,15 მლნ. ლარამდე

გაიზარდა (დაახლოებით 7-ჯერ, იხ. დიაგრამა 13)). 2006 წელს საერთო

დიაგრამა 13



შემოსავლების მოცულობის მატებამ წინა წელთან შედარებით 32% შეადგინა (იხ. დიაგრამა 14). საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზარზე ინტერნეტის ქსელით მომსახურება მობილური საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ, ყველაზე მზარდი სეგმენტია.

2006 წლის დასასრულს ADSL ტექნოლოგიებით ინტერნეტის მომხმარებლების საერთო რაოდენობა 2005 წელთან შედარებით თითქმის 81%-ით გაიზარდა და 27,7 ათასი შეადგინა.

დიაგრამა 14



ტელე-რადიო მაუწყებლობა

2006 წელს ტელე-რადიო მაუწყებლობის სფეროში კომპანიების მიერ მიღებულმა საერთო შემოსავალმა (დღგ-ს ჩათვლით) 52,2 მლნ. ლარი შეადგინა, რაც წილობრივად იმავე წელს საკომუნიკაციო ბაზრის მთლიანი შემოსავლების 5.2%-ია (იხ დიაგრამა 15). წინა წელთან შედარებით ამ სეგმენტზე მოქმედი პირების შემოსავალები 64,6%-ით გაიზარდა (იხ დიაგრამა 16).

დიაგრამა 15



2002 წლამდე ელექტრონული კომუნიკაციების ეს სეგმენტი ეკონომიკური მიმზიდველობის თვალსაზრისით განსაკუთრებით არ გამოირჩეოდა, რაც ამ პერიოდში სარეკლამო ბაზრის მცირე მოცულობით და განვითარების შედარებით დაბალი დონით იყო განპირობებული. 2003 წლიდან დაიწყო ბაზრის ამ სეგმენტის მკვეთრი გაფართოვება. საერთო შემოსავლების ზრდა ძირითადად განაპირობა საეთერო ტელემაუწყებლობის სეგმენტის გაფართოებამ, რომლის შემოსავლებმაც 2006 წელს დაახლოებით 37 მლნ. ლარი შეადგინა (2005 წელს-20.3 მილიონი).

დიაგრამა 16



ტელერადიომაუწყებლობის ბაზრის საერთო შემოსავლების 70.7%-იანი წილი საეთერო ტელემაუწყებლობას უკავია, საკაბელო ტელემაუწყებლობას - 19%, ხოლო რადიო მაუწყებლობას - 10,23% (იხ დიაგრამა 17).

დიაგრამა 17



თავი IV.
სტრატეგიული გეგმა
2007-2010

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზარზე არსებული მდგომარეობის განვითარების შესწავლის შემდგომ შემუშავდა სტრატეგიული სამოქმედო გეგმა. სტრატეგიული გეგმის მიზანია განსაზღვროს მარეგულირებელი კომისიის მომავალი წლების საქმიანობაში განსახორციელებელი საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები.

სტრატეგიული მიზნები

მიზანი 1: ფართოზოლოვანი საკომუნიკაციო მომსახურების განვითარება

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია სტრატეგიულ მიზნად ისახავს ფართოზოლოვანი საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის განვითარების ხელშეწყობას. უკანასკნელ პერიოდში ფართოზოლოვანი მომსახურების ბაზრის განვითარების ტენდენციების ანალიზიდან გამოიკვეთა ამ სახის მომსახურებაზე კონკურენტული მოთხოვნის ზრდა. მოთხოვნა გაიზარდა ბოლო მომხმარებლებზე როგორც სადენიან, აგრეთვე უსადენო რადიოსიხშირული ტექნოლოგიების გამოყენებით საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებაზე. კონვერგენციის პროცესებმა ხელი შეუწყო ერთიანი ციფრული ფართოზოლოვანი სააბონენტო არხებით მომხმარებლებისათვის როგორც ინტერნეტის, ასევე სხვა ტრადიციული, მათ შორის: სატელეფონო, სამაუწყებლო, ციფრული მონაცემების გადაცემის და სხვა ფართოზოლოვანი მომსახურების მიწოდებას. შესაბამისად, ოპერატორების მიერ მულტისერვისული სააბონენტო ციფრული მომსახურების პლატფორმების დანერგვა და ახალი გენერაციის ციფრული ქსელების რეალიზება მომსახურების როგორც ხარისხის ასევე მოცულობის გაფართოვების საშუალებას იძლევა.

სადენიანი ფართოზოლოვანი სააბონენტო მომსახურების ბაზრის სეგმენტის განვითარება უშუალოდ დაკავშირებულია ოპერატორების ადგილობრივი დაშვების ქსელების - სააბონენტო სპილენძის (ან ოპტიკურ-ბოჭკოვანი) წყვილების ინფრასტრუქტურის გაფართოვებასთან. ბაზრის ამ სეგმენტზე ფართოდ გამოყენებული DSL ტექნოლოგიების დანერგვით მიწოდებული მომსახურების ბაზრის შემდგომი გაფართოვება შესაძლებელია მხოლოდ ადგილობრივი დაშვების ქსელში კონკურენციის ხარისხობრივი ზრდის უზრუნველყოფით. ამ მიმართულებით აქტუალურია ადგილობრივი დაშვების სადენიანი (სპილენძის წყვილების) ქსელების მფლობელი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალის მქონე ოპერატორების მიერ მსურველი პირებისათვის თავისუფალი რესურსების შეუზღუდავად სარგებლობის უზრუნველყოფის ამოცანის გადაჭრა.

უსადენო ადგილობრივი დაშვების ქსელების დაფუძნება უშუალოდ დაკავშირებულია სიხშირული სპექტრის გამოყენებასთან. შესაბამის სიხშირულ

რესურსებზე კომისიის მიერ გაცემულია ლიცენზიები WiMax, WiFi, CDMA ტექნოლოგიების დასანერგად.

მიზანი 2: კონკურენციის ხელშეწყობა

კონკურენციის წინასწარი რეგულირება მიზნად ისახავს ეფექტიანი, გრძელვადიანი, კონკურენტული და ღია საბაზრო გარემოს ჩამოყალიბებას, ბაზარზე ახალი შემომსვლელებისათვის დაბრკოლებების შემცირებას, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებსა და საშუალებებში ინვესტიციების წახალისებას და ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვას. კონკურენციის რეგულირება ხორციელდება ობიექტურობის, ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის, ფუნქციონალური ექვივალენტობის, მინიმალური საჭირო რეგულირების, პროპორციულად თანაზომადი სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების, გამჭვირვალობის და არადისკრიმინაციულობის პრინციპების გათვალისწინებით.

კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით, აუცილებელია რეგულირების კანონმდებლობით განსაზღვრული ისეთი მექანიზმების ამოქმედება, რომელთა საშუალებითაც აცილებული იქნება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების მიერ ამ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და არაკონკურენტული ქმედებები, როგორიცაა მაგალითად სატარიფო ზეწოლა (დემპინგური ფასების დაწესება) ან საკომუნიკაციო ქსელის ელემენტების ფუნქციონალურ რესურსებზე არაგონივრულად მაღალი ტარიფების დაწესება, დისკრიმინაციული ურთიერთჩართვა, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალის მქონე ოპერატორების მიერ მათზე დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შეუსრულებლობა და ა.შ.

მიზანი 3: ნუმერაციის სისტემის რეფორმა

ნუმერაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსია საკომუნიკაციო მომსახურების სფეროში. ნუმერაციის სისტემა მომხმარებლების, ასევე საკომუნიკაციო მომსახურების ოპერატორების და მათი მომსახურების სახეების იდენტიფიცირების ინსტრუმენტია. თუ კი სიხშირული სპექტრის ზოლების ეფექტურად გამოყენება გულისხმობს ამ რესურსების განაწილებისას ბუნებრივი შეზღუდვების გათვალისწინებას (სიხშირული სპექტრი ფიზიკური რესურსია), ნუმერაციიის სისტემის ეფექტურობა დამოკიდებულია არჩევანზე, თუ რამდენედ ეფექტიანია კანონმდებლობით განსაზღვრული ციფრული (ან სიმბოლოების) სისტემა. ბაზრის მოთხოვნებთან შეუსაბამო ნუმერაციის სისტემა ბაზრის შემდგომი განვითარებისა და გაფართოვების შემზღუდველი სისტემური დაბრკოლებაა.

საქართველოში დღეისათვის მოქმედი ნუმერაციის სისტემა იმდენად მოძველებულია, რომ ვერ პასუხობს ქვეყნის ამ დარგში ჩამოყალიბებულ თანამედროვე მოთხოვნებს. კონკურენციის ზრდასთან ერთად, იზრდება ნუმერაციის რესურსებზე მოთხოვნაც მსურველი ავტორიზებული პირების მხრიდან. ბუნებრივია, რომ ნუმერაციის ახალ სისტემაზე გადასვლა დიდ ძალისხმევას და წინასწარ გააზრებულ და დაგეგმილ ნაბიჯებს მოითხოვს. ამ საკითხის გადაჭრის აქტუალობა უშუალოდ დაკავშირებულია საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის შემდგომი გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივებთან.

მიზანი 4: სამაუწყებლო ბაზრის განვითარება

ელექტრონული კომუნიკაციების დარგის განვითარებამ დიდი ზეგავლენა მოახდინა სამაუწყებლო ბაზრის განვითარების ტენდენციებზე. ბაზრის ამ სეგმენტზე ტექნოლოგიური განვითარება უშულოდ დაკავშირებულია ანალოგური სისტემების ციფრული სისტემებით ჩანაცვლების პროცესთან, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მომსახურების სახეების გაფართოვებაზე, მათი ხარისხის ამაღლებაზე. თანამედროვე ეპოქაში ტექნოლოგიური განვითარების სწრაფმა ტემპმა და ბაზარზე მიმდინარე კონვერგენციის პროცესებმა ნათლად გამოკვეთა სამაუწყებლო ბაზრის რეგულირების საკითხებში ორი ძირითადი მიმართულება. პირველი ეხება ქსელებითა და საშუალებებით საქმიანობის რეგულირებას, ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპის გათვალისწინებით, და მეორე - ნებისმიერი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებით მიწოდებული სამაუწყებლო პროდუქციის შინაარსობრივ (კონტენტ) რეგულირებას, როგორიცაა მავნე ზაგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვა, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით სარეკლამო პროდუქციის გავრცელების რეგულირება, საავტორო უფლებების დაცვა. შესაბამისად განვითარების მიმდინარე ეტაპზე აუცილებელია დარგის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის დახვეწა.

კომისიის ძალისხმევა მიმართული იქნება სამაუწყებლო ბაზარზე კონკურენციის განვითარების, ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის, კონვერგენციის ხელშეწყობისკენ.

მიზანი 5: ტარიფების რებალანსირება

კომისიაში რამდენიმე წელია მიმდინარეობს მუშაობა სატელეკომუნიკაციო დარგში მომსახურების სახეებზე ტარიფების ოდენობების რებალანსირების თაობაზე. რებალანსირების ამოცანის გადაჭრა გულისხმობს ოპერატორების მიერ გაწეული საცალო მომსახურების, ასევე საბითუმო ბაზრის სეგმენტებზე დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების სახეებზე დანახარჯების განაწილებას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. აგრეთვე, სუბსიდირების აღმოფხვრას ოპერატორების სამიანობისას და ეფექტური, კონკურენტუნარიანი სატარიფო ფასწარმოქმნის სისტემის ჩამოყალიბებას სატელეკომუნიკაციო დარგში. ტარიფების რებალანსირებისას ტარიფები ხარჯებზე ორიენტირებულია, რაც უზრუნველყოფს ბაზრის კონკურენტუნარიანობის ზრდას.

მიზანი 8: რეგულირების ეფექტურობის გაზრდა

რეგულირების ეფექტურობის გაზრდის მიზნით საჭიროა ერთიანი ავტომატიზირებული საინფორმაციო სისტემის დანერგვა. აღნიშნული სისტემის ძირითადი მიზანია ავტორიზებული პირების და ლიცენზიის მფლობელების უწყებრივი რეესტრის წარმოების, მსურველი პირების საქმიანობის ავტორიზაციის, მათ მიერ საკუთარი საქმიანობის თაობაზე კანონითა და კომისიის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებასთან და კანონით მინიჭებული მარეგულირებელი უფლებამოსილებების განხორციელებასთან

დაკავშირებით მოთხოვნილი სტატისტიკური ინფორმაციის მოწოდების და შემდგომი დამუშავების საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობის გაზრდა.
ზემოხსენებული საქმიანობა მოიცავს სამ ეტაპს:

1. ავტორიზებული პირების უწყებრივი რეესტრის მონაცემთა ბაზების, მათი შევსების, მართვისა და სამომხმარებლო ინტერფეისების მოდულის შემუშავება და დანერგვას;
2. ავტორიზაციის ავტომატიზირებული ფორმატის შემუშავება, რაც გულისხმობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზაციის სახეების განსაზღვრას და ავტორიზაციის პროცედურების ავტომატიზაციას;
3. ავტომატიზირებული სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების შემუშავებას.

„R“

„რეიტინგი„
აუდიტორიული ფირმა
„RATING„ AUDIT FIRM

0160. თბილისი.
ვაჟა-ფშაველას გამ. №16. მე-14 სართული
ტ. 37-49-38. მობილი 899-56-68-13.

საქართველოს
პარლამენტთან
არსებული
აუდიტორიული საბჭო

№ 7-1/005 * 15 * ივლ 2007 წ.

აუდიტორული დასკვნა

2007 წლის 01-15 მაისს აუდიტორულმა ფირმა „რეიტინგმა“ ჩაატარა „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია”-ს 2006 წლის ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება.

საქართველოს კანონის „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ მე-14 მუხლის თანახმად, პასუხისმგებლობა ბუღალტრული ანგარიშგების სწორად შედგენაზე აკისრია „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია”-ს ხელმძღვანელობას, ჩვენი მოვალეობა, რომ აუდიტის შედეგების საფუძველზე გამოვხატოთ ჩვენი აზრი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის თაობაზე და გავცეთ ასს 700 შესაბამისი აუდიტორული დასკვნა.

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტორული შემოწმება საყოველთაოდ მიღებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომელიც მოითხოვს აუდიტის ისეთნაირად დაგეგმვას და ჩატარებას, რომ საიმედო გარანტია გვქონდეს დასკვნისთვის რომ ბალანსი არ შეიცავს არასწორ ცნობებს. აუდიტი მოიცავს, აგრეთვე, იმ მინაცემების შემოწმებას, რომლებიც ადასტურებენ ბალანსის ჯამურ მაჩვენებლებს, აღრიცხვის გამოყენებული პრინციპების განხილვას, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული შეფასების შედეგებს და ბალანსის შესწავლას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბალანსი შედგენილია იმ საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც არეგულირებენ საქართველოში ბუღალტრლ აღრიცხვას და ანგარიშგებას

2006 წლის საბუღალტრო და ფინანსური დოკუმენტები, ძირითადად ხორციელდებოდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების, საყოველთაოდ მიღებული პრინციპების შესაბამისად. იგი ყველა არსებითი მხარით წარმოგვიდგენს „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია”-ს ფინანსურ მდგომარეობას 2007 წლის 01 იანვრისთვის.

საქართველოს
პარლამენტთან
არსებული
აუდიტორული
საქმიანობის საბჭო
სერთიფიკატი
№ №4/081

აუდიტორული ფირმა „რეიტინგი„-ს
დირექტორი
ირაკლი ჯალალიშვილი

ლიცენზია №224
ლიცენზია №-№175

	პერიოდი 01/01/06---31/12/06	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის ბიუჯეტის შესრულება					
მუხლები		დამტკიცებული წლის	საორიენტაციო გეგმა წლის დასაწყისიდან	შესრულება	გადახრა +;-	შესრულება %-ში	შესრულება წლიურ მაჩვენებლებთან %-ში
	სულ შემოსავლები	**5,200,000.00**	**5,200,000.00**	**6,386,423.11**	**1,186,423.11**	**22.82%**	**122.82%**
1	რეგულირების საფასური	3,700,000.00		**6,386,423.11**			
2	ფინანსური რეზერვის ფონდი	1,500,000.00					
	სულ ხარჯები	**5,074,752**	**5,074,752**	**6,491,095.56**	**1,416,343.56**	**127.91%**	**127.91%**
1	ძირითადი საშუალებების შეძენა	1,300,000	1,300,000	2,557,996.12	1,257,996.12	196.77%	196.77%
2	საკანცელარიო, საფოსტო, პოლიგრაფიული და ჟურნალ-გაზეთების ხარჯები	50,000	50,000	42,826.94	-7,173.06	85.65%	85.65%
3	კომუნიკაციის, ელექტროენერგიის, წყლის და ბუნებრ.აირის ხარჯი.	120,000	120,000	191,433.61	71,433.61	159.53%	159.53%
4	ავტომანქანების საწვავის, შენახვისა და რემონტის ხარჯები	70,000	70,000	140,545.72	70,545.72	200.78%	200.78%
5	მივლინების ხარჯები	100,000	100,000	151,097.45	51,097.45	151.10%	151.10%
6	საბანკო მომსახურების ხარჯები	10,000	10,000	7,676.52	-2,323.48	76.77%	76.77%
7	კონფერენციების ჩატარების, მუშა სემინარების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სპეციალისტთა და ექსპერტთა მომსახურებისა და სხვა ხარჯები	80,000	80,000	31,478.55	-48,521.45	39.35%	39.35%
8	სხვადასხვა საწევრო გადასახადები	20,000	20,000	13,132.20	-6,867.80	65.66%	65.66%
9	სამეცნიერო და საკონსულტაციო სამუშაოთა ხარჯები	50,000	50,000	6,500.00	-43,500.00	13.00%	13.00%
10	სხვა საერთო ხარჯები	100,000	100,000	321,988.06	221,988.06	321.99%	321.99%
11	წარმომადგენლობითი ხარჯები	10,000	10,000	6,420.38	-3,579.62	64.20%	64.20%
12	მიმდინარე რემონტის ხარჯები	60,000	60,000	0.00	-60,000.00	0.00%	0.00%
13	შრომის ანაზღაურება	2,553,960	2,553,960	2,515,478.66	-38,481.34	98.49%	98.49%
14	სახ. ბიუჯეტის ანარიცხები	510,792	510,792	503,095.73	-7,696.27	98.49%	98.49%
15	მომხმარებელთა უფლებ. დაცვის სამსახურის ხარჯები	40,000	40,000	1,425.62	-38,574.38	3.56%	3.56%
	სულ ფონდები	**125,248**	**31,312**	**-104,672.45**	**-135,984.45**	-334.29%	**-83.57%**
16	ფინანსური რეზერვის ფონდი	62,624	15,656	0.00	-15,656.00	0.00%	0.00%
17	პრემირების ფონდი	62,624	15,656	0.00	-15,656.00	0.00%	0.00%